მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის, ნოემბრის თვეში ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და მხარდაჭერით ჩატარებული იყო დაწყებითი კლასების, კერძოდ პირველი და მეორე კლასის მოსწავლეების სამედიცინო შემოწმება.

შემოწმებული იქნა 198 მოსწავლე. მინდა ავღნიშნო, რომ საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დეფორმაციები პროგრესირებს ბავშვის ასაკის მატების შესაბამისად, ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ამ პრევენციულ ღონისძიებას.

როგორც ჩემთვის, სპეციალისტისათვის, ასევე ამ ღონისძიებაში ჩართული ყველა პირისათვის სასიამოვნო ფაქტია, სრულიად ჯანმრთელი, ყოველგვარი ორთოპედიული პრობლემის არსებობის გარეშე გამოყოფილი, მართალია პატარა, მაგრამ მაინც განსაზღვ რული ჯგუფი ბავშვების.

ძირითადი პრობლემა, რაც საყურადღებოა, ეს არის ტანადობის დარღვევა, კიფოსკოლიოზური ტანადობა. აღნიშნული დეფორმაციების სრულფასოვანი დიაგნოსტიკა დამატებითი კვლევების, კერძოდ რენტგენოლოგიური გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება.

საკმაოდ დიდმა ჯგუფმა მიიღო რეკომენდაციები ხერხემლის სვეტის რენტგენოლოგიურ კვლევაზე, რაც მოგვცემს სწორი, კვალიფიციური მკურნალობის საშუალებას და პრობლემის პროგრესირების შეჩერებას.

საყურადღებო არის კიდევ ერთი პათოლოგია საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, ტერფების დეფორმაცია, ბრტყელტერფიანობა, როგორც ბრტყელი-ვალგუსური, ისე ბრტყელი-ვარუსული დეფორმაციები ტერფების.

შეძლებისდაგვარად მიეცათ რეკომენდაციები, დაიგეგმა არსებული დეფორმაციების კორექციები. მიეცათ დარიგებები მშობლებსაც.

გისურვებთ წარმატებებს.

ორთოპედ-ტრავმატოლოგი,

ას. პროფესორი მარიამ მიქიაშვილი

ტელ: 599 54-02-81

ელ.ფოსტა Mariam.mikiashvili1@gmail.com

-